




საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ყოველთვიური მიმოხილვა

2017 წლის იანვარ-თებერვალი

2017 წლის ბიუჯეტის კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განისაზღვრა 11,457 მლნ ლარის დონეზე, ხოლო გადასახდელების 11,415 მლნ ლარის დონეზე. რაც შეეხება შესრულებას, 2017 წლის 2 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები წლიური გეგმის 13%-ს შეადგენს და გასული წლის მაჩვენებელს 25%-ით (292 მლნ ლარით) აღემატება, ხოლო გადასახდელების მაჩვენებელი წლიური გეგმის 13%-ს შეადგენს და გასული წლის მაჩვენებელს 7%-ით (94 მლნ ლარით) აღემატება.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები (მლნ ლარი); *2010-2016 წწ-სათვის წარმოდგენილი მაჩვენებლები ასახავს ფაქტობრივ შესრულებას.

შემოსულობების კომპონენტები	გეგმა	2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან	გადასახდელების კომპონენტები	გეგმა	2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	9,489	14%	ხარჯები	9,121	14%
არაფინანსური აქტივების კლება	90	23%	არაფინანსური აქტივების ზრდა	999	4%
ფინანსური აქტივების კლება	85	5%	ფინანსური აქტივების ზრდა	769	7%
ვალდებულებების ზრდა	1,793	5%	ვალდებულებების კლება	526	20%

ცხრილი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი, 2017 წელი).

შემოსულობების კომპონენტების დონეზე, შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებელი ფინანსური აქტივების კლების და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებისთვის ვლინდება (წლიური გეგმის 5%).

გადასახდელების კომპონენტების დონეზე, შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებელი არაფინანსური აქტივების ზრდის და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის ვლინდება (წლიური გეგმის 4% და 7%, შესაბამისად).


საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 2,097 მლნ ლარის დონეზე, ხოლო 2017 წლის იანვარ-თებერვალში მობილიზებულია 1,274 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 61%, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 185 მლნ ლარით (17%-ით) აღემატება.

	2016 წელი 2 თვე	2017 წელი 2 თვე	2017 წ. 2 თვე - 2016 წ. 2 თვე	
			სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	1,088.2	1,273.6	185.4	17.0%
საშემოსავლო გადასახადი	161.0	440.6	279.7	173.8%
მოგების გადასახადი	24.6	38.9	14.2	57.8%
დღგ	498.7	684.0	185.3	37.2%
აქციზი	148.3	225.4	77.1	52.0%
იმპორტის გადასახადი	14.7	12.3	-2.3	-15.9%
სხვა გადასახადები	240.9	-127.6	-368.5	-153.0%

ცხრილი 2: საგადასახადო შემოსავლები იანვარ-თებერვლის მდგომარეობით (მლნ ლარი, %, 2016-2017წწ.).

გადასახადების სახეების მიხედვით ანალიზისას საყურადღებოა სხვა გადასახადების დინამიკა, რომლის შესრულება ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, -128 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული დაკავშირებულია გასულ წელს სახაზინო კოდების სისტემაში განხორციელებულ რეფორმასთან¹. კერძოდ: იანვრის თვეში ჩარიცხული გაუნაწილებელი შემოსავლები, თავმოყრილი სხვა გადასახადების მუხლში, თებერვლის 15 რიცხვისათვის დეკლარაციების წარდგენის საფუძველზე, განაწილდა გადასახადის შესაბამის სახე(ებ)ში, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადში. შესაბამისად, თებერვალში ჩარიცხული და ასევე დეკლარირების საფუძველზე გადანაწილებული სახსრები (რომელიც ფაქტობრივად ჩარიცხულია იანვარში) ჯამურად, თებერვლის თვის ანგარიშგებაში ასახულია გადასახადების შესაბამის სახეებში. თუმცა, თებერვლის თვეში ჯამური საგადასახადო შემოსავლების დაბალანსებისათვის (ფაქტობრივად, ჯამურად მიღებულია 590 მლნ ლარი), სხვა გადასახადების მნიშვნელობა შემცირდა გადანაწილებული სახსრების ოდენობით და ამდენად ასახულია უარყოფითი მნიშვნელობით.



დიაგრამა 2 : საგადასახადო შემოსავლების დინამიკა (მლნ ლარი, 2016-2017წწ.).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარე წლის გადასახადების მაჩვენებლებზე ასახვას პოვენს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებები², რომლებიც, მათ შორის უკავშირდება მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის ამოქმედებას, ცალკეულ პროდუქტებზე აქციზის განაკვეთის ცვლილებას.

¹ 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი. შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდეგ გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტობრივად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, კრონოლოგიურ წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.


² 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმი; გაიზარდა აქციზის განაკვეთები საწვავზე, თამბაქოს ნაწარმზე და მსუბუქ ავტომობილებზე, დაწესდა ქონების გადასახადი ფიზიკური პირის (რომლის ოჯახის წლიური შემოსავალი 40000 ლარზე მეტია) საკუთრებაში არსებულ მსუბუქ ავტომობილზე. შეიცვალა საქონლის მოწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე წინასწარ გადახდილი თანხების დაბეგვრის წესი. აგრეთვე, გაიზარდა ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისთვის არსებული მოგების/საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი.

გადასახდელები

ხარჯები

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები წლიური გეგმის 14%-ს გაუტოლდა და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდამ 90 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის 25 მლნ ლარით, სუბსიდიების 20 მლნ ლარით, გრანტების 19 მლნ ლარითა და სხვა ხარჯების 18.5 მლნ ლარით ზრდას, გასული წლის ამავე პერიოდის შესრულებასთან შედარებით.

წლის განმავლობაში ხარჯების მოსალოდნელ დინამიკასთან მიმართებაში, თუ დავუშვებთ, რომ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლები შესრულდება, მაშინ 2017 წლის 10 თვის განმავლობაში შესრულების მაჩვენებელი დაახლოებით 124 მლნ ლარით (1.2-ჯერ) უნდა აღემატებოდეს 2 თვის ათვისების საშუალო მაჩვენებელს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული ფარდობა ასევე 1.2-ს გაუტოლდა.




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 2 თვის შესრულება (მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდა

საანგარიშო პერიოდში, არაფინანსური აქტივების ზრდა (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) წლიური გეგმის 4%-ს გაუტოლდა და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20 მლნ ლარით შემცირდა.

წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების ზრდის მოსალოდნელ დინამიკასთან მიმართებაში, თუ დავუშვებთ, რომ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლები შესრულდება, მაშინ 2017 წლის 10 თვის განმავლობაში შესრულების მაჩვენებელი დაახლოებით 73 მლნ ლარით (4.3-ჯერ) უნდა აღემატებოდეს 2 თვის ათვისების საშუალო მაჩვენებელს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული ფარდობა 2.1-ს გაუტოლდა.




დიაგრამა 4: სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის 2 თვის შესრულება (მლნ ლარი).

პროგრამები

2017 წლის 2 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული პრიორიტეტული პროგრამების შესრულების ტენდენცია შემდეგია³:


- მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 16%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 35 02);
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 16%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 35 03);
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 5%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 25 02);
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 4%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 25 03);
- ზოგადი განათლების პროგრამის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 15%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 32 02);
- უმაღლესი განათლების პროგრამის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 14%-ს შეადგენს (პროგ. კოდი 32 04).



დიაგრამა 5: ცალკეული პრიორიტეტული პროგრამების ათვისება 2 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი, 2017 წელი).

³ ზემოაღნიშნული პროგრამები შერჩეული პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტური განსჯით, სოციალური და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და განათლების ძირითადი პროგრამების წარმოსადგენად.

საშინაო ვალდებულებების დინამიკა



დიაგრამა 6: საშინაო ვალდებულებების ზრდის დინამიკა (მლნ ლარი).


საანგარიშო პერიოდში, საშინაო ვალდებულებების ზრდის (წმინდა ზრდა) მუხლით შემოსულობების ფაქტობრივი შესრულება წლიური გეგმის 11%-ს შეადგენს და 45.9 მლნ ლარია.

საანგარიშო პერიოდში გამოშვებულია 300 მლნ ლარის ღირებულების და დაფარულია 243 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები. ასევე მომსახურებისათვის საპროცენტო ხარჯმა 53 მლნ ლარი შეადგინა.

საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში გრანტების მოცულობა 52 მლნ ლარს და წლიური გეგმის 18%-ს შეადგენს. მიღებული გრანტების უდიდესი ნაწილი ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტებია.

საანგარიშო პერიოდში კრედიტების მოცულობა 40 მლნ ლარს და წლიური გეგმის 3%-ს შეადგენს. ორი თვის მდგომარეობით, მიღებული კრედიტები მხოლოდ საინვესტიციო კრედიტებია.



დიაგრამა 7: საგარეო დაფინანსების წყაროები (მლნ ლარი); *2016 წლისათვის წარმოდგენილი მაჩვენებლები ასახავს ფაქტობრივ შესრულებას.

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლები 2017 წლის 2 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი)

	2016 წელი 2 თვე შესრულება	2017 წლის 3 თვე გეგმა*	2017 წელი 2 თვე შესრულება	2017 წელი წლიური გეგმა	2017 წ. 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან	2017 წ. 2 თვე / 2016 წ. 2 თვე	2017 წ. 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან
სულ შემოსულობები	1,185.0	2,537.7	1,477.1	11,457.2	58.2%	24.6%	12.9%
შემოსავლები	1,149.6	2,233.5	1,366.2	9,489.5	61.2%	18.8%	14.4%
გადასახადები	1,088.2	2,097.0	1,273.6	8,820.0	60.7%	17.0%	14.4%
გრანტები	19.1	66.6	52.0	284.5	78.2%	172.6%	18.3%
სხვა შემოსავლები	42.4	70.0	40.5	385.0	57.9%	-4.4%	10.5%
არაფინანსური აქტივების კლება	27.6	17.5	20.6	90.0	117.5%	-25.5%	22.8%
ფინანსური აქტივების კლება	1.9	12.0	4.4	85.0	36.7%	131.3%	5.2%
ვალდებულებების ზრდა	5.9	274.6	85.9	1,792.7	31.3%	1365.4%	4.8%
სულ გადასახდელები	1,426.2	2,767.4	1,520.5	11,415.5	54.9%	6.6%	13.3%
ხარჯები	1,223.5	2,281.9	1,313.9	9,121.2	57.6%	7.4%	14.4%
შრომის ანაზღაურება	226.2	351.1	222.7	1,393.5	63.4%	-1.5%	16.0%
საქონელი და მომსახურება	136.1	286.1	133.6	1,144.3	46.7%	-1.9%	11.7%
პროცენტი	73.7	125.3	87.1	503.0	69.5%	18.3%	17.3%
სუბსიდიები	42.1	154.2	62.2	420.0	40.3%	47.9%	14.8%
გრანტები	118.2	221.1	137.6	1,020.3	62.2%	16.4%	13.5%
სოციალური უზრუნველყოფა	501.2	843.6	526.0	3,313.2	62.3%	4.9%	15.9%
სხვა ხარჯები	126.1	300.5	144.7	1,327.0	48.1%	14.7%	10.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	64.0	162.1	44.0	999.0	27.2%	-31.2%	4.4%
ფინანსური აქტივების ზრდა	51.0	182.6	55.3	769.0	30.3%	8.4%	7.2%
ვალდებულებების კლება	87.6	140.7	107.3	526.2	76.3%	22.4%	20.4%

*3 თვის გეგმა გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.